

ტყუპი ქალაქების დავიწყებული ფენომენი.

დამშობილებული ქალაქების ურთიერთობები აღმოსავლეთ ევროპის კიდეზე

(ერეკლე იანტბელიძე)

2021 წლის თებერვალში გავიდა ასი წელი საქართველოს საბჭოთა ოკუპაციიდან. არაერთ საჯარო ღონისძიებაზე პატივი მიაგეს კომუნისტური აგრესიისა და რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნას. თელავი, როგორც კახეთის რეგიონის დედაქალაქი, რა თქმა უნდა, იკავებდა ავანგარდს აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაში. მიუხედავად ქალაქის რაოდენობრივად მცირე მოსახლეობისა - დაახლოებით 20 000 მაცხოვრებელი - ქალაქ თელავს აქვს უნიკალური კულტურა.

ისტორიკოსები და ეთნოლოგები მიიჩნევენ, რომ თელავს, როგორც ევროპის კონტინენტის უკიდურესი აღმოსავლეთით მდებარე ქალაქს, აქვს სიმბოლური გეოგრაფიული განფენილობა. საზოგადოების ნაწილმა შესაძლოა იგი მიიჩნიოს რომის, ედინბურგის, ბრიუსელის, ზამბერგისა და ლისაბონის გვერდით, როგორც ერთ-ერთი ევროპული ქალაქი, გაშენებული შვიდ ბორცვზე. ქალაქ თელავის ისტორია დამახასიათებელია მისი სირთულეებითა და სიმდიდრით, დაცემითა და აღორძინებით. თელავის სინამდვილეში ხშირად იყო სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და გეოპოლიტიკური გარდასახვები აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, რადგან ქალაქი შუასაუკუნეების მიწურულს წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოებრიობის ქვაკუთხედს. როგორც რიჩარდ ვილბრაჰამმა მოკლედ დაახასიათა, „თელავი წარმოადგენს საქართველოს უკანასკნელი მეფის, მამაც, მაგრამ ბედკრულ ერეკლეს უკანასკნელ სიმაგრეს.“ მე-20 საუკუნეში მკაცრმა საბჭოთა წეს-წყობილებამ გარდაქმნა ერთ-ერთი „წმინდა ბორცვი“ - ამჟამად ცნობილი როგორც „გიგოს გორა“ - კომუნისტური რეჟიმის სასაკლაოდ, სადაც ფიზიკურად ანადგურებდნენ ე.წ. „ხალხის მტრებს“. ადგილობრივებს ჯერ კიდევ ახსოვთ 1924 წლის „სისხლიანი

ქორწილის“ ისტორია, როდესაც საბჭოთა პოლიტიკურს ჯალათებმა დახვრიტეს 15 ახალგაზრდა და ამით დაიწყეს მასობრივი ლიკვიდაცია ადგილობრივი არისტოკრატისა და დიდებულებისა.

იმისათვის რომ გავანალიზოთ თელავის ისტორიული მხარე, გვერდს ვერ ავუვლით მცირედით მაინც არ აღინიშნოს ერეკლე მეორის, ასევე ცნობილი როგორც „პატარა კახი“-ის, ღვაწლის შესახებ. ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ მე-18 საუკუნის ბოლოს ორი მთავარი მიზანი განაპირობებდა ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკურ კურსს: ერთის მხრივ, პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება სამეფოში; ხოლო მეორეს მხრივ, მეფის სურვილი, რომ თავი დაედწია რეგიონალური ზესახელმწიფოებისაგან, კერძოდ, რუსეთის, ირანისა და სპარსეთისაგან. მამასადამე, მეფე ერეკლემ პირადად სცადა კავშირის დამყარება ავსტრიის იმპერატორთან, საფრანგეთის მეფესა და ვენეციის სენატთან. 1770-იანი წლების ბოლოს, მან მოიწვია იაკობ რეინგსი პრუსიიდან, რომელიც მეფეს დაეხმარა გაეტარებინა მნიშვნელოვანი რეფორმები ლითონის წარმოებაში, სამხედრო იარაღისა და სამედიცინო სფეროს განვითარებაში. ასევე მეფის ინიციატივით გაიხსნა სასულიერო სემინარია და თეატრი ქალაქ თელავში, რომლებიც საკუთარ თავში აერთიანებდა ბერძნულ-რომაულ და ქრისტიანულ კულტურებს. სამწუხაროდ, რეგიონალურმა დესტაბილიზაციამ მეფე ერეკლეს არ მისცა საშუალება, ისევე როგორც მის სამეფოს, გაემყარებინა დიპლომატიური ურთიერთობები დასავლეთ-ევროპულ საზოგადოებებთან. მიუხედავად ამისა, ნიშნად თანაზიარი ისტორიისა და ტრადიციებისა, თანამედროვე თელავი გადაიქცა წამყვან რეგიონალურ ცენტრად ევროპის სახელმწიფოებთან დამოკიდებული ქალაქების სიუხვით.

თექვსმეტიდან ცამეტი, ტყუპი ქალაქი, მდებარეობს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის კონტინენტზე. მათ შორის ყველაზე წარმატებული კულტურული, სოციალური და ეკონომიკური კავშირები არსებობს ბიბერახთან გერმანიაში, რომელიც პარტნიორობის აგერ უკვე 35 წელს ითვლის. დროთა

განმავლობაში თელავმა დაამყარა ახლო კავშირები შტუმთან, ჟემუვსა და ზიელონა გორასთან (პოლონეთი), ხერსონთან (უკრაინა), დაუგავპილსსა და ტალსთან (ლატვია), ანიკშიაისთან (ლიეტუა), გლუბოკოესთან (ბელორუსი) და ვილიანდთან (ესტონეთი). გარდა აღნიშნული კავშირებისა, ქალაქ კედანიანთან (ლიეტუა), ბემენოვასთან (სლოვაკეთი), კლეცკისთან (ბელორუსი) და ბალტასთან ურთიერთობები სულ მცირე ხანია, რაც იღებს სათავეს. თუმცა გლობალიზაციის პირობებში საზოგადოების ნაწილი საერთაშორისო ქალაქთაშორის ურთიერთობებს მოძველებულად მიიჩნევს, უნდა აღინიშნოს რომ, ამ ტიპის კავშირები არასდროს ყოფილა ისეთი რელევანტური როგორც დღეს არის. პატრიკ გედესის სიტყვებს რომ დავემოწმეთ, „იფიქრე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად.“

იმისათვის რომ კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ საკითხის რელევანტურობას სასურველი იქნება მეტად გავაანალიზოთ ლოკალური წარმატების ისტორია თელავისა და ბიბერახის ურთიერთობების გათვალისწინებით. გასული რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, სხვადასხვა ტიპის პროექტებმა გააღრმავა საქალაქთაშორისო პარტნიორობა. ამჟამად, ქალაქებს აქვთ ყოველწლიური ტრადიცია უმასპინძლონ და განახორციელონ ქართულ-გერმანული კვირეული ადგილობრივ დონეზე. 1999 წლიდან, ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლა სარგებლობს სტუდენტთა გაცვლითი და მასწავლებელთა გადამზადების პროგრამით, რათა მოსახლეობამ აიმაღლოს გერმანული ენის ცოდნა და მიიღოს პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება. დამატებით, ბიბერახის „რეგიონალურ-დიპლომატიური“ კოოპერაციითა და GIZ-ის ფინანსური დახმარებით ხორციელდება არაერთი პროექტი თელავში. აღსანიშნავია მხარდაჭერა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა დასახმარებლად. ადგილობრივი მოსახლეობა ამყარებს იმით, რომ განხორციელდა თელავის პირველი სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაცია (2008), რომელიც დაფინანსებულია ბიბერახის რეგიონალური მხარდაჭერით და წარმოადგენს ნათელ მაგალითს

ურთიერთობათა სიმდიდრისა. უფრო მეტიც, ბიბერახი იყო პირველი ქალაქი, რომელიც ფინანსურად დაეხმარა 900 წლოვანი ჭადრის მერქნის აღდგენითი სამუშაოების განხორციელებაში ქალაქ თელავს(ჭადრის რეაბილიტაციის მხარდაჭერის პროექტი მიმდინარეობს ამჟამადაც), რომელიც ადგილობრივი მოსახლეობისთვის წარმოადგენს პირად ღირსებასა და რელიქვიას.

რადგან ქალაქ თელავი მოექცა ამ საკითხის ეპიცენტრში, აუცილებელია, ხაზი გაესვას ადგილობრივი კოოპერაციის გაღრმავების საკითხს საერთაშორისო მასშტაბით. ევროპაში უყვართ შემდეგი დევიზის გაჟღერება - „ერთიანობა მრავალფეროვნებაში“, შესაბამისად ზრუნვა, გაღრმავება და წინწამოწევა ადგილობრივი საკითხების საერთაშორისო მასშტაბით აუცილებელია მრავალფეროვნების ერთიანობაში ძიებისათვის. თელავსა და ბიბერახს შორის არსებული კოლაბორაციის მაგალითით, აუცილებელია დამშობილებული ქალაქების (ტყუპი ქალაქების) ფენომენი მივიჩნიოთ, როგორც ადგილობრივი ქმედება გლობალური ეფექტურობისათვის.

თელავმა, როგორც ევროპის კონტინენტის კიდეზე მდებარე ქალაქმა, შესაძლოა გარკვეული როლი შეასრულოს რეგიონალური საკითხების წინ წამოწევისა და ანალიზში, თუმცა, ქალაქის მუსიკა, ხელოვნება, კულტურა, ღვინისა და გასტრონომიის ფესტივალები არაერთ ადგილობრივ თუ საერთაშორისო სტუმარს გაუჩენს იმის სურვილს, რომ დააფასოს თუ რამდენად დიდი შესაძლებლობები გააჩნია ქალაქს დაამყაროს ურთიერთობები ამა თუ იმ ქვეყნის ადგილობრივ საზოგადოებებთან. და ბოლოს, დროის სვლასთან ერთად, ალბათ ერთი მაინც იტყვის, “C’est la vie à Telavi!”.